

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N12

ქ. ლანჩხუთი

19 ოქტომბერი. 2012 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე, რევაზ ჩიტიძე.

სხდომას ეწვებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო ძიმიგური, თანაშემწე, დონარა დოლიძე, საკრებულოს აპარატის საოქმო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მაია კეკელიძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ ასკურავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი, შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი, ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი, როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით

გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი, თამარ ასკურავა და მედიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს სხდომის შემდეგ მომზადდა პროექტები, რომლებიც შეეხებოდა საკრებულოს თანამდებობის პირთა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთებში ცვლილებებს, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს და მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ერთ-ერთი წევრის დასახელებაში ცვლილებების შეტანას. მან მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთაღნიშნული საკითხების შეტანა მ/წ 19 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში, რასაც მხარი დაუჭირა დეპუტატებმა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ დეპუტატებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი დამატებული საკითხების გათვალისწინებით:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ასკურავა/

2. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 20 აპრილის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ.ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ.ჩაგუნავა/

4. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრების დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 ივნისის N22 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი შ.ჩაგუნავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, აპარატის მომსახურეთა თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ.ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ.ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე

/მომხსენებელი შ.ჩაგუნავა/

8 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ.ლაშხია/

9. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 2 (ორი) დეპუტატმა (ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე).

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსმა, თამარ ასკურავამ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარებისა და დროებითი თავშესაფარით უზრუნველყოფის პროგრამა“.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ ქვეპუნქტი. „რეფერალური დახმარების ცენტრისა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა“.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და დადგენილების პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 (სამი) დეპუტატმა (ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე, მ. კვიციანი).

მიღებულ იქნა დადგენილება N28 (19.10 2012 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 20 აპრილის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლში მიდინარე წლის მაისის თვეში შესული ცვლილებით დაბეგრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია: მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგრის ობიექტი მიწის ნაკვეთი, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში. აღნიშნულის გათვალისწინებით

მიზანშეწონილია საკრებულოს 2012 წლის 20 აპრილის N18 დადგენილებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება. კერძოდ, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს: საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ. ასევე ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გია ორაგველიძემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

დადგენილების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3-მა (სამი) დეპუტატმა (ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე, მ. კვიციანი).

მიღებულ იქნა დადგენილება N29 (19.10 2012 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 27 სექტემბრის N898 ბრძანებულების შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს N659 ბრძანებულება. აღნიშნული ბრძანებულება კი, საფუძვლად უდევს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებით განსაზღვრული უძრავი ნივთების (გარდა მიწისა), სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის წესს, რის

გამოც საჭიროა ცვლილება შევიდეს საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებაში.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 – მა (სამი) დეპუტატმა (ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე, მ. კვიციანი).

მიღებულ იქნა განკარგულება N88 (19.10 2012 წელი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრების დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 ივნისის N22 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ სამეგრელო – გურია – ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე, N12/1424 16.10.2012 წელი, უნდა შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2010 წლის 28 ივნისის N22 განკარგულებაში. ვინაიდან ზემოთაღნიშნულ კომისიაში კომისიის წევრი გოჩა ჩხაიძე წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო – გურია – ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს სპეციალისტი. მომართვის საფუძველზე აღნიშნული პიროვნება წარმოდგენილია, როგორც სამეგრელო – გურია – ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის დამხმარე მომსახურედ (პირველი კატეგორია), რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით დეპუტატ დავით წულაძეს მიაჩნია, რომ კომისიის წევრები შერჩეულია მიკერძობებით და მასში არ არის შეყვანილი საკრებულოს შემადგენლობაში შემავალი ოპოზიციური პარტიის არც ერთი წევრი.

საკრებულოს თავმჯდომარემ რევაზ ჩიტაძემ დეპუტატ დავით წულაძეს განუმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არ ითვალისწინებს კომისიის შემადგენლობაში ცვლილებებს და განკარგულების პროექტის განხილვა გამოწვეულია მხოლოდ კომისიის ერთ – ერთი წევრის თანამდებობრივი სახელწოდების შეცვლით.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე სხვა დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 3(სამი) დეპუტატი (მ. კვიციანი, ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N89 (19.10 2012 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, აპარატის მომსახურეთა თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“, განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზრაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის N945 ბრძანებულების შესაბამისად უნდა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ერთეულების სარგოებში შესაბამისი ცვლილება და იგი უნდა აისახოს 2012 წლის ბიუჯეტში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106–ე

პრიმა მუხლის პირველი და მეორე პუნქტის შესაბამისად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების მისაღებად, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

დეპუტატმა, დავით წულაძემ, გამოხატა თავისი მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ზემოთაღნიშნული ბრძანებულების, ასევე წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ. ვინაიდან მას მიაჩნია, რომ ქვეყნისათვის ასეთ მძიმე პერიოდში, როცა ჯერ კიდევ გადასაწყვეტია მოსახლეობის უმეტესი ნაწილის დასაქმების საკითხი, სრულიად უკანონოა თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზრდა.

დეპუტატმა, მაკა კვიციანიამ, აღნიშნა, რომ იგი არასოდეს ეწინააღმდეგებოდა ხელფასების ზრდას, მაგრამ ამ ეტაპზე, როცა ასე მწვავედ დგას საკითხი ხელშეკრულებით აყვანილ მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, იგი მხარს ვერ დაუჭერს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე სხვა დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 3(სამი) დეპუტატი (მ. კვიციანია, ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N90 (19.10 2012 წელი).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის

ანაზრაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის N945 ბრძანებულების შესაბამისად უნდა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამტატო ერთეულების სარგოებში შესაბამისი ცვლილება და იგი უნდა აისახოს 2012 წლის ბიუჯეტში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე პუნქტის შესაბამისად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების მისაღებად, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

დეპუტატებმა მაკა კვიციანიამ და დავით წულაძემ ისევე გამოხატეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების ზრდასთან დაკავშირებით, როგორც საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ზრდასთან დაკავშირებით.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე სხვა დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 3(სამი) დეპუტატი (მ. კვიციანია, ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N91 (19.10 2012 წელი).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 12 ოქტომბრის N945 ბრძანებულებით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი მისი მატების ტენდენციით. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება საკრებულოს ზემოთაღნიშნულ დადგენილებაში და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით, რომლის შესაბამისი ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 3(სამი) დეპუტატი (მ. კვირკველია, ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N92 (19.10 2012 წელი).

დღის წესრიგის მერვე საკითხზე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 27 ივლისის №1453 განკარგულებით გამოიყო 300 000 ლარი ქ. ლანჩხუთში საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციისათვის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №01380 განკარგულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოეყო 16 000 ლარი წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსების მიზნით, რაც უნდა აისახოს

მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში, მ.შ. 8 000 ლარი საკრებულოს და 8 000 ლარი გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისათვის.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოეყო 940 000 ლარი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსებისათვის. პროექტებით გათვალისწინებულ ღონისძიებების დაფინანსებაში მიღებული იქნა 8 168 ლარის ეკონომია, გზის რეაბილიტაციაზე მიმართული სახსრებიდან აუთვისებელი 6 284 ლარი ჩათვლით შიდა გზების ახალი პროექტის დაფინანსებაზე მიზანშეწონილია მიმართოს 14 452 ლარი.

„საქართველოს რეგიონებში ზოგიერთი ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის №972 განკარგულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი 800 000 ლარიდან განხორციელებული პროექტების დაფინანსებაში მიღებული იქნა ეკონომია ქ. ლანჩხუთის სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებში 1 948 ლარი, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებში 9 904 ლარი, სულ 11 852 ლარი, რომელიც მიზანსეწონილია მიიმართოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების სარემონტო სამუშაოებზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის №26/07/003 განკარგულებით /სარეზერვო ფონდიდან/ გამოყოფილ 300 000 ლარიდან გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე აუთვისებელი 4 499 ლარის ჩათვლით განკარგულებების მიხედვით აუთვისებელი და მიღებული ეკონომიის ხარჯზე სულ მუნიციპალიტეტის შიდა გზების ახალი პროექტების დაფინანსებაზე მიზანშეწონილია მიმართულ იქნას 30 803 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლებისა, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წლის ბოლოს მოახლოებასთან დაკავშირებით, შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა-შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეული პარამეტრების დაზუსტება, ფაქტიური მონაცემების მიხედვით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მომხსენებელმა აუცილებლად მიიჩნია ბიუჯეტში ცვლილების შესატანად შესაბამისი დადგენილების პროექტის გნხილვა.

ზემოაღნიშნული დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

დეპუტატი, დავით წულაძე არ ეთანხმება ბიუჯეტში სიტემატიურ ცვლილებებს. ასევე იგი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებელი უნდა იყოს არა გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი, არამედ საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

დეპუტატ, დავით წულაძეს, მის მიერ დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ განუმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად. ხოლო რაც შეეხება სხდომაზე საკითხის მომხსენებლის განსაზღვრას, იგი დგინდება ბიუროს სხდომაზე, კენჭისყრით, საკრებულოს რეგლამენტისა და გამგეობის სამსახურების დებულებების შესაბამისად.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 3(სამი) დეპუტატი (მ. კვირკველია, ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N93 (19.10 2012 წელი).

სხვადასხვა.

1. საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ წილოსანმა გაზეთ „ლანჩხუთის მოამბის“ მ/წ 18 ოქტომბრის N78–ში, ჟურნალისტ ნინო მშვოდობაძის მიერ გამოქვეყნებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით „გურიაში ნაციონალები საკრებულოს ტოვებენ“ გააკეთა განხცადება. კერძოდ, იგი განმარტავს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამება მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მართალია იგი ადასტურებს მის დიდ პატივისცემას ქართველი ხალხისა და ლანჩხუთის მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანის მიმართ, მაგრამ ასევე დიდ მადლობას უხდის მხარდამჭერების არცთუ ისე მცირე

რაოდენობას. იგი დღესაც დგას თავის გუნდთან ერთად და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მზად არის კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის ყველა ძალასთან.

2. დეპუტატი მაკა კვიციანი კატეგორიული წინააღმდეგია, როგორც გამარჯვებულ, ასევე დამარცხებულ პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობის გამწვავების. იგი თვლის, რომ „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ არის ბევრი ღირსეული პიროვნება, რომლებთანაც მას აქვს კარგი ურთიერთობა. იგი ასევე მადლობას უხდის ყველა ჟურნალსიტს, რომლებმაც ობიექტურად გააანალიზეს არჩევნების მიმდინარეობა. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით მას მიაჩნია, რომ დღევანდელ საკრებულოს სხდომას ჰქონდა ახალი პოლიტიკური იერი.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:


რევაზ ჩიტიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი:




ნინო ძიძიგური

თანაშემწე:



დონარა დოლიძე

საკრებულოს საოქმო და საქმისწარმოების
განყოფილების უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი:



მაია კეკელიძე